ურთიერთშეთანხმება N1

ქ. თეთრიწყარო **2019 წელი**

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ქორიძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ნიუ ლუქი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ბონდო პაპასკირის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლის და მხარეთა შორის 2019 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №127 ხელშეკრულების მე-11 მუხლისა და მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2019 წლის 23 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ამავე ხელშეკრულების მესამე მუხლში, დაემატოს 3.3. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,3.3. მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, შუალედურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მერიის ზედამხედველობის სამსახურის შიდა სამსახურეობრივი კომისიური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და შესაბამისი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.“

2. შეთანხმების მოქმედება

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელმოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი.

2.4. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

3. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი“
TETRITSKARO MUNICIPALITY Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY Date: 2019.10.28 15:52:52 +04'00'	
_____	_____
გიორგი ქორიძე	ბონდო პაპასკირი
მუნიციპალიტეტის მერი	შპს ,,ნიუ ლუქი“ - ს დირექტორი